



IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

საერთაშორისო ინსტიტუტების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) როლი გარდამავალ დემოკრატიებში პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის დამყარების საქმეში (საქართველოს მაგალითზე)

ნატალია ბერუაშვილი

პოლიტიკურ მეცნიერებებში სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი

თბილისი, 2018

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოც. პროფ. დოქტ. აზერ დილანჩიევი

(სახელი, გვარი)

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. პროფ. დოქტ. ტატიანა პაპიაშვილი

2. ასოც. პროფ. დოქტ. ამირან კავაძე

3. ასოც. პროფ. დოქტ. ვახტანგ მაისაია

ოპონენტები (ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ასოც. პროფ. დოქტ. ვალერი მოდებაძე

2. ასოც. პროფ. დოქტ. გიორგი ხიშტოვანი

3. დოქტ. მარატ ტერტეროვი

შესავალი

თანამედროვე პერიოდში მრავალი მეცნიერი თუ მკვლევარი მნიშვნელოვან ყურადღებას 21-ე საუკუნეში საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების წარმართვის საქმეში როლზე ამახვილებს. საერთაშორისო ორგანიზაციები - როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილებიან როგორც ერთ-ერთი მთავარი პასუხისმგებელი სტრუქტურები საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში, სადაც მათ საერთაშორისო საზოგადოების სასარგებლოდ უნდა იმოქმედონ. აღნიშნული ინსტიტუტების კრიტიკოსთა მოსაზრებით, ეს ინსტიტუტები უფრო გამჭვირვალე პოლიტიკას უნდა ატარებდნენ, რადგანაც კრიტიკოსთა აზრით აღნიშნულ ორგანიზაციათა საქმიანობა ხშირად დიდი სახელმწიფოების ინტერესებს ემსახურება.

მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების შედეგად, საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო ინსტიტუტების საქმიანობა მსოფლიო პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებში კიდევ უფრო ფართოვდება, ამიტომაც დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი გაეროს სპეციალიზირებული სააგენტოების - საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ჯგუფის, ასევე გაეროს პარტნიორი ორგანიზაციის - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის ფორმირებაში როლს დაეთმობა. გარდა ამისა, კვლევის დიდი ნაწილი აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის პროცესს დაეთმობა.

პრობლემის ანალიზი

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისა და ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ძალზედ მნიშვნელოვანია. ამავე დროს, საერთაშორისო ორგანიზაციები გარდამავალ პერიოდში მქონე ქვეყნების დანარჩენ მსოფლიოსთან გლობალურ პროცესებში ინტეგრირებას უწყობენ ხელს. ამავე დროს, აღნიშნული მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობის გავლენა (უარყოფითი და დადებითი) სხვადასხვა ქვეყნებისა თუ რეგიონების განვითარების თვალსაზრისით. აღნიშნული ასევე საქართველოსაც უკავშირდება. გარდა ამისა, ისეთი კვლევების და ლიტერატურის დეფიციტი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების გლობალურ დონეზე სოციალ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას უკავშირდება.

კვლევის ამოცანები

კვლევის ფარგლებში შემდეგი კვლევითი ამოცანები იქნა შემუშავებული:

- **პირველი ამოცანა - გლობალური მმართველობა.** რა წამოადგენს საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო ინსტიტუტების ფორმირების მთავარ მიზეზს, მათ გარდაქმნას გლობალური მმართველობის მთავარ მოთამაშეებად და მათი ფუნქციების ევოლუციას?
- **მეორე ამოცანა - „ეფექტურობა-ლეგიტიმურობის“ დილემა.** რა წარმოადგენს სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის წინაშე „ეფექტურობა-ლეგიტიმურობის“ არსის დილემას?
- **მესამე ამოცანა - პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა.** რა წარმოადგენს სსფ-ისა და მსოფლიოს ბანკის ინსტიტუციური ფორმირების მთავარ მექანიზმს აღნიშნული ინსტიტუტის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- **მეოთხე ამოცანა - კრედიტორი ქვეყნების ოპოზიცია.** რა გახლავთ სსფ-ის და მსოფლიო ბანკის საქმიანობაზე განვითარებად ქვეყნებში მთავარი რეაქცია?

- მეხუთე ამოცანა - ანტიკრიზისული დარეგულირება. როგორ შევავსოთ სსფ-ის და მსოფლიო ბანკის - როგორც გლობალური მმართველობის მთავარი ინსტიტუტების როლი ფინანსური კრიზისების დროს?
- მეექვსე ამოცანა - გლობალური მმართველობის რეფორმაცია. რა წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - როგორც გლობალური მმართველობის მთავარი აქტორების რეფორმირებისა და ახალი მოთამაშეების როლს აღნიშნულ სფეროში?
- მეშვიდე ამოცანა - ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა - როგორია საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი პრინციპები და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლი მსოფლიოს ახალი სავაჭრო რეჟიმის ფორმირების საქმეში?
- მერვე ამოცანა – საქართველოს გლობალურ პროცესებში ინტეგრაცია. როგორ აისახა საქართველოს სსფ-სა და მსოფლიო ბანკში წევრობა საქართველოს გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრაციის მიმართულებით?
- მეცხრე ამოცანა - მთავარი შედეგები. რა გახლავთ საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდში და მსოფლიო ბანკში წევრობის მთავარი შედეგები?
- მეათე ამოცანა – თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის პრინციპების განვითარება. რა განვითარება ჰპოვა საქართველოსა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციას შორის ურთიერთობამ საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე?

კვლევის მეცნიერული სიახლე და აქტუალობა

კვლევა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და ვმო-ის განვითარებად ქვეყნებში პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური პროცესების იდენფიცირების პროცესში, ხაზს უსვამს მთავარ სარგებელს და გამოწვევებს, რომელიც საქართველოს მაგალითზე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოიშობა და მიზნად ისახავს იმის განსაზღვრვას, თუ რამდენად აისახება აღნიშნული ურთიერთობები ქვეყნის გეოპოლიტიკურ მისიაზე.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა

საკითხები, რომელიც ვმო-ს, მსოფლიოს ბანკისა და სსფ-ის საქმიანობას უკავშირდება, ფართო აქტუალობა ჰპოვა მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განხილვის ფარგლებში და XX-XXI საუკუნეებში მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის შეფასების საქმეში. რაც შეეხება პრაქტიკულ ღირებულებას, მეტად მნიშვნელოვანია აქტუალიზებულ იქნეს დისკურსი საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციონირების შესახებ საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების აკადემიურ და საჯარო სფეროებში, მაგალითად, საქართველოს სტუდენტთა იმ წრეებში, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით ეუფლებიან თავიანთ ცოდნას.

გარდა ამისა, კვლევა ხაზს უსვამს სსფ-ის, მსოფლიო ბანკისა და ვმო-ს როლს საქართველოს გლობალურ, ეკონომიკურ, სავაჭრო და ფინანსურ სისტემებში ჩართვისა და საქართველოში სხვადასხვა რეფორმების განხორციელების პროცესში.

თეორიული მნიშვნელობა

კვლევის წარმატებული განხორციელებისათვის, ძალზედ მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში არსებული ძირითადი თეორიები. მაგალითად, ნეო-რეალისტური მიდგომა ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები იყვნენ, არიან და მომავალშიც იქნებიან ფუნდამენტურად არაეფექტურები რისი ძირითადი მიზეზიც არის ის ფაქტი, რომ მათ არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ ქვეყნებს თავიანთი ეროვნული ინტერესების განხორციელების პროცესში.

მეორეს მხრივ, ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი საერთაშორისო სისტემის კანტის ვერსიას იზიარებს. მაგალითად, თუ როგორ ცდილობს გაერთიანებული ერების

ორგანიზაცია თავისი საქმიანობის კოორდინირებას მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ურთიერთობათა ჰარმონიზაციას პროცესში. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გაერომ გადამწყვეტი როლი შეასრულა დეკოლონიზაციის, ადამიანის უფლებათა დაცვის, გარემოს დაცვის, საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა ქვეყნების შემდგომი სოციალ-ეკონომიკური განვითარების საკითხებში. ამავე დროს, ისეთმა საერთაშორისო უნივერსალურმა ორგანიზაციამ, როგორცაა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, ხელი შეუწყო ხელი შეუწყო გლობალურ დონეზე საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას. ნეო-ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი ხაზს უსვამს საერთაშორისო უნივერსალური ორგანიზაციების ურთიერთობებს რეგიონულ ორგანიზაციებთან.

აღნიშნულის საპირისპიროდ, კონვენციური კონსტრუქტივიზმი ორ წინა კონცეფციას (ნეორეალიზმი და ნეო-ლიბერალიზმი) ეწინააღმდეგება. ის აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემის ფარგლებში მოქმედი ინსტიტუტები და სააგენტოები, კონტრუირებულ კონცეფტებს წარმოადგენენ.

ჰიპოთეზა

სსფ-მა, მსოფლიო ბანკმა და ვმო-მ თავისი გავლენა მოახდინეს გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე მათ შორის საქართველოს ეკონომიკურ, სოციალ-პოლიტიკურ განვითარებაზე და მის ინტეგრაციაზე გლობალურ პოლიტიკასა და საერთაშორისო წესრიგის დინამიკაში. აგრეთვე, აღნიშნულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოს ჰქონდა თავისი ეროვნული ინტერესების რეალიზების შესაძლებლობა. ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა, რომლებიც აღნიშნული ინსტიტუტების მხარდაჭერით იქნა განხორციელებული, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ეროვნული ინტერესების და გეოპოლიტიკური ფუნქციისა და მიზნების განხორციელებაში. ამ თანამშრომლობის წარმატება ისეთ საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ფარგლებში - როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური გარემოს სპეციფიკაზე.

კვლევის მეთოდები

კვლევის თვისებებიდან გამომდინარე, უფრო მისაღებია გამოყენებულ იქნეს როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ისეთ რაოდენობრივ მაჩვენებელი, როგორც გახლავთ სტატისტიკა, ფართოდ არის გამოყენებული მოცემულ შრომაში.

თემა, რომელიც როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ თემატიკას ეძღვნება (რომელიც საერთაშორისო ინსტიტუტების ფუნქციონირების ისტორიულ დინამიკაზეა ორიენტირებული) შესაძლებელია ახსნილ იქნეს როგორც „დისკრიპტული“ მეთოდიც, რომელიც მნიშვნელოვანწილად იქნება კონკრეტული საერთაშორისო ინსტიტუტების (სსფ, მსოფლიო ბანკი, ვმო) ფუნქციონირების სხვადასხვა სტადიის განხილვას.

გარდა ამისა, კვლევითი მიდგომა თავის თავში მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზს, რომელიც მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის, გლობალური მმართველობის, საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო ინსტიტუტების ფუნქციონირებას და საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე მათ გავლენას უკავშირდება.

დისერტაციის წერის პროცესში გამოყენებული იყო სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი და ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან.

დისერტაციის წყაროები

კვლევის თეორიული ბაზა შემდეგ ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობა: წიგნები, სამეცნიერო სტატიები, მას-მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, მონოგრაფიები, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის ჯგუფის, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების ანგარიშები.

კვლევის პროცესში, შესწავლილ და გამოყენებულ იქნა ქართველი და უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო ნაშრომები.

დისერტაციის სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან: შესავალი, 4 თავი, დასკვნები და რეკომენდაციები და გამოყენებული ლიტერატურა.

დისერტაციის მოკლე შინაარსი

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

პირველი თავი სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული ძირითადი თეორიული მიმართულებების განხილვას ეთმობა, რომლებიც პირველ რიგში უკავშირდება მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის მთავარ პრინციპებს, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში არსებულ თეორიებს უკავშირდება, მათ შორის - საერთაშორისო ორგანიზაციების როლს კერძოდ, ნეო-რეალიოსტურ მიდგომას, რომელიც ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები იყვანენ, არიან და იქნებიან ფუნდამენტალურად არაეფექტურები, იმ მიზეზისა და გამო, რომ მათ არ შეუძლიათ წინ აღუდგნენ სახელმწიფოებს თავიანთი საკუთარი ინტერესების განხორციელებაში, რომელიც ძალაუფლებისათვის ბრძოლას უკავშირდება. მეორეს მხრივ, ნეო-ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი საერთაშორისო სისტემის კანტის ვერსიას ეყრდნობა. განიხილება თემა, რომ გაერომ და გაეროს სპეციალიზირებული სააგენტოებმა (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი) და ა.შ. დაწესებულებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს დეკოლონიზაციის პროცესში, ასევე, ადამიანის უფლებათა, საერთაშორისო სამართლის, გარემოს დაცვის და სოციო-ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტალური პრინციპების განვითარებაში. ამავე დროს, ისეთმა საერთაშორისო უნივერსისალურმა ორგანიზაციამ, როგორც გახლავთ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, ხელი შეუწყო გლობალურ დონეზე საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდას. აღნიშნულის საპირისპიროდ, კონსტრუქტივიზმი ორი ზემოაღნიშნულ (ნეო-რეალიზმი და ნეო-ლიბერალიზმი) კონცეფციას ეწინააღმდეგება. აღნიშნული თეორიის ფარგლებში, საერთაშორისო სისტემის განხილვისას, ინსტიტუტები და სააგენტოები, მონაწილეების მიერ სტრუქტურირებული კონსტრუქტს, რომლებიც ახალ რეალობას განსაზღვრავენ.

საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მენეჯმენტის კონცეფცია. დღევანდელ ეტაპზე, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განვითარება გლობალიზაციას უკავშირდება. სხვადასხვა ხასიათის ლოკალური თუ რეგიონული პოლიტიკური კრიზისები და კონფლიქტები გლობალური მნიშვნელობის მოვლენების ხასიათს იძენენ. საერთაშორისო საზოგადოება, თავის მხრივ რიგი გლობალური მნიშვნელობის გამოწვევების წინაშე იმყოფება, მათ შორის შეგვიძლია ავლნიშნოთ გლობალური მიგრაცია, ქვეყნებს შორის სოციალ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით დისბალანსის ზრდა, სიღარიბე, ავადმყოფობა და ა.შ. შესაბამისად, გლობალური მმართველობის მიმართულებით ჩატარებული დებატები და კვლევები აღნიშნული პრობლემების საერთაშორისო დონეზე განხილვას და გლობალურ დონეზე აღნიშნული პრობლემების მოგვარებას უწყობს ხელს, მაგრამ, მეორეს მხრივ მოცემული ინსტიტუტებისათვის აღნიშნული გამოწვევები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენენ (Keohane, 2001. Pp.1-13).

„კარგი მმართველობა“ და საერთაშორისო ინსტიტუტების ლეგიტიმურობის პრობლემა - 1980 წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში „კარგი მმართველობის“ კონცეფციის დანერგვამ, ბრეტონ ვუდსის ინსტიტუტების მონაწილეობით რამდენიმე ქვეყანაში სტრუქტურული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში დადებითი როლი შეასრულა. კონფეფციის ფორმულირება ნეო - ლიბერალურ ტრადიციებთანაა ასოცირებული, რომელიც შემდგომში ასახულ იქნა 1997 წელს მიღებულ გაეროს განვითარების პროგრამის დოკუმენტებში, სადაც „კარგი მმართველობა“ რესურსების დანახარჯების მინიმიზაციასა და დემოკრატიისა და ეფექტურობის პრინციპებს ეფუძნება.

მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ფარგლებში არსებული თეორიები სახელმწიფოს საგარეო საქმიანობას უკავშირდება. აღნიშნული ტერმინი სამეცნიერო ბრუნვაში ჰედლი ბულის მიერ 1977 წელს იქნა შემოღებული, თუმცა, თავის მხრივ, უნივერსალური წესრიგი გაცილებით ადრე იქნა ფორმირებული.

საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი - შესაძლებელია როგორც განცალკევებული, დამოუკიდებელი სამოქმედო სისტემა იქნეს განხილული, მაგრამ იგი იმდენადაა დაკავშირებული საერთაშორისო პოლიტიკური სისტემასთან, რომ აღნიშნული ორი ვერსიის ერთმანეთისაგან გამოყოფა თითქმის შეუძლებელია.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ქვესისტემები - საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე პროცესების განვითარების შედეგად, მაგალითად კონფლიქტისა და თანამშრომლობის ანალიზის პროცესში, ასევე მთავარი მიზეზებისა და შედეგების განხილვისას, ამერიკელმა ეკონომისტმა სპერომ ქვესისტემების შესახებ დისკუსია შემოგვთავაზა, კერძოდ, *დასავლეთის ურთიერთდამოკიდებული, ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის ქვესისტემები*. აღნიშნული სისტემები ერთმანეთისაგან იზოლირებულ მდგომარეობაში არ იმყოფებიან, მაგრამ ამავე დროს, ყოველ სისტემაში პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები სპეციფიურია.

საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის განვითარების პერსპექტივები: საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის შემდგომი განვითარების განხილვისას, სპეციალისტები შემდეგ ძირითად პრინციპებს განიხილავენ: **ლიბერალიზმი, დაქვემდებარება და ეკონომიკური ნაციონალიზმი (მერკანტილიზმი)**.

მთავარი თეორიები საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში - რაც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში არსებულ თეორიებს, აქ ორი პრინციპული განსხვავება არსებობს. პირველი უპირატესობას თავისუფალ ვაჭრობას, ხოლო მეორე პროტექციონისტულ პოლიტიკას ანიჭებს - როდესაც სახელმწიფოს, თავისი ეროვნული ინტერესების პოზიციიდან გამომდინარე, საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიურ როლს ასრულებს. საერთაშორისო ვაჭრობის პირველ თეორიად **მერკანტილიზმი** განიხილება. ადრეული მერკანტილიზმის - რომელიც XV-XVI საუკუნეებში ფუნქციონირებდა, ძირითად პრინციპს „საგადამხდელი ბალანსის“ პრინციპი წარმოადგენდა. გვიანდელი მერკანტილიზმის ძირითად პრინციპს „დადებითი სავაჭრო ბალანსი“ წარმოადგენდა.

აბსოლუტური უპირატესობის თეორია - ამ თეორიის მიხედვით, შედარებითი უპირატესობის თეორიის მიხედვით ვაჭრობისგან დამოუკიდებლად შედარებითი უპირატესობის მიღწევა იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ქვეყანა სპეციალიზირებული იქნებოდა, ისეთი საქონლის წარმოებაზე, რომლის წარმოების თვითღირებულებაც დაბალი იქნებოდა.

თავი 2. მსოფლიოს საფინანსო ინსტიტუტების - სსფ-ის და მსოფლიო ბანკის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში

1944 წელს ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო კონფერენციაზე, მსოფლიო მონეტარული სისტემის ძირითადი პრინციპები იქნა შემუშავებული, ასევე საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ინსტიტუტების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული. შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და განვითარებისა და რეკონსტრუქციის მსოფლიო ბანკი იქნა ჩამოყალიბებული. მოგვიანებით, ორივე ორგანიზაციამ არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ფუნქციებიც შეიძინა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფარგლებში *გადაწყვეტილების მიღების პროცესში* სამი ძირითადი მიდგომა იქნა შემუშავებული.

პირველი, ფუნქციური მიდგომა. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები გადაწყვეტილებას სხვადასხვა ქვეყნებში დასამტკიცებელი პროექტების შესახებ იღებენ, რომელიც კონკრეტულ ეკონომიკურ ინდიკატორებს ეფუძნება და ფორმალური რეგულაციებით განისაზღვრება. მეორე - პოლიტიკური მიდგომა - რომლის მიხედვითაც ბევრი ანტისდასავლურად განწყობილი ექსპერტი სსფ-სა და მსოფლიო ბანკში პოლიტიკური კომპონენტის არსებობის შესახებ საუბრობს, რომელიც დასავლეთის, პირველ რიგში აშშ-ის და სხვადასხვა ტრანსნაციონალური კორპორაციის ინტერესებს ემსახურება. მესამე - თანასწორობის რეგულირების მიდგომა - მისი მიხედვით სსფ და მსოფლიო ბანკი იმ ინსტიტუტებს წარმოადგენენ, რომლის ფარგლებშიც გადაწყვეტილების მიღების პროცესი ფორმალური და არაფორმალური

კომპონენტებისაგან შედგება, რომელიც მონაწილეთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოტივაციებს განსაზღვრავს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმაღლესი მმართველი ორგანოა მმართველთა საბჭო. საბჭოს შეხვედრები წელიწადში ორჯერ - სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ კონფერენციაზე ეწყობა. თითოეული წევრი ქვეყანა შეხვედრებზე ფინანსთა მინისტრით ან ცენტრალური ბანკის დირექტორითაა წარმოდგენილი. მმართველი საბჭო 24 აღმასრულებელი დირექტორითაა წარმოდგენილი. აღმასრულებელი საბჭოს შეხვედრები კვირაში სამჯერ ვაშინგტონში იმართება. აშშ-ს, იაპონიის, რუსეთის, ჩინეთის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და საუდის არაბეთის წარმომადგენლებს აღმასრულებელ საბჭოში მუდმივი წარმომადგენლობა გააჩნიათ. ამერიკა ფლობს ხმათა 6,74%-ს, იაპონია - 6.23%-ს, გერმანია - 5.81% - ს, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი - ხმების 4.29%-ს.

მსოფლიო ბანკის სტრუქტურა მთლიანად სსფ-ის სტრუქტურის მსგავსია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ფუნქციების ევოლუცია -

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დებულება სსფ-ის შემდეგ ფუნქციებს ითვალისწინებს:

- ფინანსურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- მონეტარული სტაბილურობისა და წევრი ქვეყნების გაცვლითი სავალუტო კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფა.

წესდების თანახმად, მსოფლიო ბანკის ჯგუფის მთავარი მიზნებია:

- მხარი დაუჭიროს წევრი სახელმწიფოების სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას;
- ხელი შეუწყოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- კონკრეტული ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი პროექტების განსახორციელებლად სესხის გამოყოფა.

თავი 3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის როლი მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში

1946 წელს ჰავანაში ვაჭრობისა და დასაქმების საერთაშორისო კონფერენცია, სადაც საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ახალი ორგანიზაციის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული. 1947 წლის ოქტომბერში, ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალურ შეთანხმებას მოეწერა ხელი (GATT).

მოგვიანებით, გენერალური შეთანხმების საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაქმნის მიზნის, მონაწილე ქვეყნებს შორის მოლაპარაკებები 8 - წლიანი რაუნდი გაიმართა, რომელიც ე.წ. ურუგვაის ლაპარაკებების რაუნდით იქნა ცნობილი. მოლაპარაკებები 1986 წლიდან 1994 წლამდე გაგრძელდა და საბოლოოდ 1994 წელს მარაქეშში ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შექმნის შესახებ შეთანხმებას ხელი მიეწერა, რომელიც ძალაში 1995 წლის 1 იანვარს შევიდა.

მსო-ის მიერ საერთაშორისო ვაჭრობისა და კომერციის განვითარების ხელშეწყობა

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმების

ხელმოწერისა და მსო-ის შექმნის შედეგად - 1950-2000 წლების განმავლობაში მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა დაახლოებით 20-ჯერ, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 6-ჯერ გაიზარდა. 2007-2008 წლების კრიზისამდე მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა დაახლოებით 6% - ით იზრდებოდა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2012 წლისათვის, საქონლისა და ნედლეულით ვაჭრობის წლიური ბრუნვა დაახლოებით 20 ტრილიონ დოლარს შეადგენდა.

საერთო ჯამში, მსო-ის საქმიანობა შემდეგ ძირითად პრინციპებზეა დამოკიდებული:

- **სახელმწიფოთა თანაბარი უფლებები.** მსო-ის მიერ მისი ერთ-ერთი წევრისთვის შეთავაზებული პრეფერენციები ნებისმიერ შემთხვევაში ორგანიზაციის ყველა დანარჩენ წევრზე ავტომატურად ვრცელდება.
- **წევრი ქვეყნის მიერ საბაჟო ტარიფებისა და სხვა სახის სავაჭრო შეზღუდვების შემცირება;**
- **ინვესტიციების ხელშეწყობა;**
- **გამჭვირვალობა.** ვმო-ს წევრები ვალდებული არიან საერთაშორისო საზოგადოება თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყონ;
- **დამცავი მექანიზმები.** გარკვეულ შემთხვევებში, კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის ხელისუფლებას უფლება აქვს გარკვეული სავაჭრო ხასიათის შეზღუდვები შემოიღოს. მაგალითად, მსო-ის შეთანხმება შესაძლებლობას იძლევა, მიღებულ იქნეს ზომები გარემოს დაცვის, ჯანდაცვის, ეკოლოგიის და სხვ. საკითხებზე.

თავი IV. სსფ-ის, მსოფლიო ბანკისა და ვმო-ის როლი საქართველოს თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგში ინტეგრაციის პროცესში

აღნიშნული თავი 1991 წელს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკის, ეროვნული უსაფრთხოების და ეკონომიკის, საქართველოს საგარეო ეკონომიკური პრიორიტეტების განსაზღვრას უკავშირდება.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობა - დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1992 წელს საქართველო გახდა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ხოლო 2000 წლის 14 ივნისს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკის ჯგუფთან და ვმო-სთან თანამშრომლობის შედეგები უარყოფითი და დადებითი შედეგები.

ნეგატიური შედეგები. საქართველოში ბევრი ექსპერტი, რომელთაც კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდათ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ჯგუფის საქმიანობაზე, აღნიშნავენ, რომ ამ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოს დიდი საგარეო ვალი დაუგროვდა, რომლის უდიდესი ნაწილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მოდის.

საქართველოს საგარეო ვალი - თანამედროვე პერიოდშიც კი საქართველოს ეკონომიკა უცხოურ ფინანსურ დახმარებაზე დიდწილადაა დამოკიდებული.

1994 წლიდან 2006 წლამდე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საქართველოს დაახლოებით 500 მილიონი დოლარის მოცულობის კრედიტი გამოუყო. 2008 წლის ოქტომბერში დასავლეთმა ქვეყნებმა და ორგანიზაციებმა საქართველოსთვის „ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე“ კრედიტისა და გრანტის სახით დაახლოებით 4,5 მილიარდი დოლარის მოცულობის თანხის გამოყოფის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება.

2011 წლის 31 ოქტომბრისთვის საქართველოს საგარეო ვალი 4 252 236 ათასი დოლარი (მშპ 31%), რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 917 დოლარი იყო. ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი (როგორც სამთავრობო, ასევე კერძო კომპანიებიუს მთლიანი ვალი) 15 მილიარდ დოლარს შეადგენდა. აქედან,

ეროვნული ბანკის მონაცემებით, სახელმწიფოს საგარეო ვალი 6 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 43% - ია. ამ თანხიდან 4,4 მილიარდი სახელმწიფო უწყებებზე (31,5%) მოდის.

საბანკო სექტორის ვალები 2,9 მილიარდს აშშ დოლარს (მშპ-ის 21,1%) შეადგენდა, ეკონომიკის სხვა სექტორის ვალები - 4,4 მილიარდი (31,8%), კომპანიების დავალიანება - 3 მილიარდი დოლარი (მშპ-ის 21,5%).

მსოფლიო ბანკის კრედიტებზე წილი ქვეყნის საგარეო ვალის 40% - ს შეადგენს.

თანამშრომლობის პოზიტიური შედეგები - ბევრი ექსპერტის აზრით, საერთაშორისო საფინანსო და სავაჭრო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად, საქართველოს ეკონომიკა ქვეყნის შიგნით მეტ-ნაკლებად თავისუფალ და გამჭვირვალე პირობებს უზრუნველყოფს. მაგალითად, "საერთაშორისო გამჭვირვალობის" 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული ქვეყანაა შავი ზღვის რეგიონის ფართო მასშტაბით. ევროკავშირთან ასოცირებული შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, 2014 წლიდან, საქართველო ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ნაწილია, 2015 წელს აღინიშნა ორმხრივი ვაჭრობის ზრდა, ამავე დროს, ვაჭრობის მოცულობა დსთ-ის ქვეყნებთან თანდათან მცირდება.

ინსტიტუციური რეფორმები - XXI საუკუნის პირველი ათწლეულის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა. მაგალითად, საჯარო სექტორი გახდა უფრო გამჭვირვალე. შემცირებულ იქნა ბიუროკრატიული აპარატი და ა.შ.

საგადასახადო პოლიტიკა - 2011 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი. ახალმა საგადასახადო კოდექსმა გაზარდა საქართველოს საგადასახადო სისტემისადმი ნდობა. 2005 წლიდან საქართველოში გადასახადების რაოდენობა 22-დან 6-მდე შემცირდა. ყველა არსებულ გადასახადის განაკვეთები შემცირებულ იქნა: საშემოსავლო გადასახადი 25%-დან 20% - მდე; მოგების გადასახადი (კორპორატიული გადასახადი) – 20%-დან 15%-მდე; დამატებული ღირებულების გადასახადი - 20%-დან 18% - მდე; იმპორტის ტარიფების რაოდენობა პროდუქციის დაახლოებით 90% - ზე გაუქმდა და დღევანდელ ეტაპზე მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთით (0%, 5%, 12%), წინა 16-ის ნაცვლად განისაზღვრება.

ჰუმანური განვითარების ინდექსი - აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლებისა და მშპ-ის ერთ სულზე შემოსავლის და სხვა მაჩვენებლებისაგან შედგენილ სტატისტიკურ მაჩვენებლებს განსაზღვრავს. 2005 წლიდან 2012 წლამდე საქართველოს HDI ღირებულება 0.713-დან 0.745-მდე გაიზარდა და დღევანდელ ეტაპზე 187 ქვეყნიდან საქართველო 75-ე ადგილს იკავებს.

2017 - "Heritage Foundation" - ს მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე - 13, ხოლო ევროპაში მე -5 ადგილზეა.

2017 წლის ანგარიშის თანახმად, ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებელი 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით რადიკალურად შემდეგი მიმართულებით გაუმჯობესდა:

- საკუთრების დაცვის უფლებები
- ფისკალური პოლიტიკა
- სახელმწიფო ხარჯები

• მონეტარული თავისუფლება

საგარეო ვაჭრობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ 2017 წლის იანვარ-მარტში წარმოდგენილი შედეგები, როდესაც ვაჭრობის მოცულობამ 2 285 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 18% -ით მეტია (საქსტატი 2017). ექსპორტი 577 მლნ დოლარი იყო (30% -ით მეტი, ხოლო იმპორტი 1708 მლნ აშშ დოლარი 15% - ით მეტი).

2017 წლის იანვარ-მარტში ევროკავშირის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 641 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 26% -ით მეტი იყო. შესაბამისად, საერთო ჯამში, ევროკავშირის წილმა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში 28% შეადგინა (საქსტატი 2017).

დასკვნა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განხორციელებული კვლევის შედეგად, ჰიპოტეზის მთავარი პრინციპები მიღებულ იქნა. მაგალითად, ახსნილ იქნა, რომ დაარსების დღიდან, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა პროექტების განხორციელების შედეგად, სსფ-მა, მსოფლიო ბანკმა და ვმო-მ შეძლეს გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში საკუთარი გავლენის ზრდა, მათ შორის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და ქვეყნის რეგიონულ და გლობალურ პოლიტიკურ პროცესებში ინტეგრაციის ხელშეწყობა. გარდა ამისა, ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამართლებრივი რეფორმების განხორციელება აღნიშნულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით მოხერხდა. უმეტეს შემთხვევაში, ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის განვითარება, როგორებიცაა სსფ, მსოფლიო ბანკი და მსო დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორც იქნება გათვალისწინებული ერთის მხრივ კონკრეტული ქვეყნის ეროვნული ინტერესები და პოლიტიკური და სოციალ-

ეკონომიკური გარემო, და მეორეს მხრივ ის მიზნები და ამოცანები, რომელიც ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებს გააჩნიათ.

განხორციელებული კვლევის შედეგად, გადაწყვეტილ და გაანალიზებულ იქნა ის ამოცანები, რომლებიც სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში იქნა წარმოდგენილი, კერძოდ:

პირველი ამოცანის - გლობალური მმართველობა - ფარგლებში, რომელიც საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკური ინსტიტუტების შექმნის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორებს უკავშირდება, დამტკიცებულ იქნა, რომ აღნიშნული ინსტიტუტები უკვე გლობალურ მოთამაშეებად გადაიქცნენ, შესაბამისად, მათი ფუნქციების ევოლუცია დეტალურად იქნა გაანალიზებული;

მეორე ამოცანის გადაწყვეტისათვის, რომელიც „ეფექტურობა-ლეგიტიმაციის“ დილემას უკავშირდება, ნაჩვენები იქნა, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას „ეფექტურობა-ლეგიტიმურობის“ დილემა წარმოადგენს. ნაშრომში წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში სსფ-ის და მსოფლიო ბანკის საქმიანობის ცნობიერების ამაღლების მიმართულებით უნდა იყოს წარმართული.

რაც შეეხება **მესამე ამოცანას**, რომელიც სსფ-ის და მსოფლიო ბანკის ინსტიტუციურ საქმიანობას, კერძოდ, აღნიშნული ინსტიტუტების ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცესს უკავშირდება, სხვადასხვა ექსპერტის აზრით, აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ფარგლებში ჩართულ თანამშრომლებს საკუთარი პირადი ინტერესები გააჩნიათ, რომელიც შესაბამისი რესურსების მოზიდვის მაქსიმალიზაციას უკავშირდება, რათა საბოლოო ჯამში დადებითად იყოს წარმოდგენილი რეალიზებული პროგრამების პოზიტიური მხარეები.

მეოთხე ამოცანის განხილვის დროს, რომელიც სესხის ამღები ქვეყნების პოზიციას უკავშირდება, გაანალიზებულ იქნა სსფ-ის და მსოფლიო ბანკის საქმიანობა განვითარებად ქვეყნებში. ასევე განხილულ იქნა საკითხი, რომ კონკრეტულ ქვეყანაზე

სესხის გაცემის დროს, სსფ და მსოფლიო ბანკის აღნიშნულ ქვეყნებში გარკვეულ ჯგუფებთან კონფლიქტს უკავშირდება.

მეხუთე ამოცანა - ანტიკრიზისული რეგულაცია. აღნიშნული ამოცანის მიზანს სსფ-ის და მსოფლიო ბანკის როგორც გლობალური მმართველობის ინსტიტუტების საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისების შემთხვევაში როლს უკავშირდება. გაანალიზებულ იქნა, რომ სსფ-ის და მსოფლიო ბანკის ძალისხმევა 1973 წელს არსებული ენერგეტიკული კრიზისის, ასევე გლობალური ვალის 1980-1990 და მსოფლიოს 1997-98 წლების საფინანსო და 21-ე საუკუნეში პირველი გლობალური კრიზისის მოგვარების პროცესში, სადაც ბრეტონ-ვუდის ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს, ტუმცა მათი პოტენციური გლობალური რეგულაციის სფეროში მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა.

რაც შეეხება **მეექვსე ამოცანას**, რომელიც რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეფორმირებას უკავშირდება, ამ მიმართულებით შემდეგი რეკომენდაციები იქნა შემუშავებული:

- 1) ორგანიზაციების აღმასრულებელი საბჭოს როლის გაზრდა;
- 2) გადაწყვეტილების მიღებისა და სხვადასხვა პროგრამებთან დაკავშირებული დისკუსიების შესახებ გამჭვირვალობის გაზრდა;
- 3) სსფ-ის და მსოფლიოს ბანკის ხელმძღვანელების არჩევის დიალგის პრინციპის დამკვიდრება;
- 4) სპეკულატიური კაპიტალის ბაზარზე ზემოქმედების კონკრეტული მექანიზმების შემუშავება და ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრა;
- 5) ლიქვიდურობის კრიზისის გადაწყვეტისათვის ახალი მექანიზმების შემუშავება;
- 6) თავიანთი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის, სსფ-ის და მსოფლიო ბანკის მაქსიმალური მოცულობის რესურსებით უზრუნველყოფა;
- 7) საერთო ჯამში, კონკრეტული ცალკეული სახელმწიფოების სპეციფიკურობის და რეფორმირების პროცესში კონკრეტული მექანიზმების განსაზღვრა.

ახალი საფინანსო ინსტიტუტების, მაგალითად „ბრიქსის“ დაარსების შემთხვევაში, შესაძლებელია დაწყებულ იქნეს დიალოგი გლობალური მმართველობის სისტემის რეფორმაციის თაობაზე, თუმცა, ეს საერთაშორისო არენაზე ძალთა პოლიტიკურ ბალანსზეა დამოკიდებული.

მეშვიდე ამოცანა – ინვესტორებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო ვაჭრობის მთავარი პრინციპების და მსოფლიოში ახალი სავაჭრო რეჟიმის ჩამოყალიბებას უკავშირდება, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა კომპანიებს შორის საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობას, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს, პირდაპირ ინვესტიციებს, გლობალური სამხრეთში მოქმედი კომპანიების ეკონომიკურ და კომერციულ როლს და სავაჭრო აქტივობებს უკავშირდება. ზემოაღნიშნულ პოზიციებზე დაყრდნობით, შესაძლებელია საბოლოო განისაზღვროს, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ამოცანაა საერთაშორისო ვაჭრობის საერთო პრინციპების ჩამოყალიბება.

მერვე ამოცანა - საქართველოს გლობალურ პროცესებში ინტეგრაცია განიხილავს ისეთ საკითხებს, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საქართველოს გლობალურ პროცესებში ჩართვის საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს გლობალურ პროცესებში ინტეგრაციის მთავარ ფაქტორებს წარმოადგენენ: ინტერნაციონალიზაცია - საქართველოს მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანა 100-ზე მეტ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანდა და 100-ზე მეტ ქვეყანასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა.

ლიბერალიზაცია - ინტეგრირებული ეკონომიკა, ხალხის, საქონლის და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება. მსო-ში გაწევრიანების შედეგად, საქართველომ ვაჭრობის საერთაშორისოდ აღიარებული პრიონციპები აღიარა და შესაბამისი კანონმდებლობა პრაქტიკაში დანერგა.

უნივერსალიზაცია (მატერიალური და სულიერი ფასეულობების მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ფართო გავრცელება). მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ვმო-მ საქართველოში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპები დაამკვიდრეს.

ვესტერნიზაცია. მსოფლიოს ბანკის, სსფ-სა და ვმო-ის „საუკეთესო პრაქტიკის“ საფუძველზე სტრუქტურული რეფორმები განხორციელდა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ფისკალური რეფორმა, საბანკო ზედამხედველობა, პრივატიზაცია და ა.შ.

დე-ტერიტორიზაცია საკუთარი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობის გამო, საქართველო სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონულ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში იყო ჩართული, რომელიც მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან იქნა მხარდაჭერილი.

მეცხრე ამოცანა - მთავარი ფაქტორები, რომლებიც საქართველოს მსოფლიო ბანკთან და სსფ-სთან ურთიერთობებს უკავშირდება:

აღნიშნულმა ურთიერთობამ საქართველოს როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ ურთიერთობებზე მოახდინა გავლენა;

ორი ორგანიზაციამ, როგორც მსოფლიო პოლიტიკის აქტიურმა მოთამაშეებმა, ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით, ხელი შეუწყვეს გლობალიზაციის პროცესს, ნეოლიბერალური ეკონომიკის საფუძველზე ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარებას;

მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში;

თავისი წვლილი შეიტანეს ახალი ფინანსური და პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში;

ხელი შეუწყვეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ტრანსპარენტულობას.

მეათე ამოცანა - თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების ქსელის განვითარება საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ურთიერთობებს უკავშირდება, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს საბაზრო ურთიერთობების შემდგომ ლიბერლიზაციას. მსო-ში გაწევრიანების შედეგად, მსო-ის მთავარმა ქვეყნებმა საქართველოსთან ორმხრივი ურთიერთობების ფარგლებში თანამშრომლობა გაზარდეს. დღევანდელ ეტაპზე, საქართველოს თავისუფალი სავაჭრო რეჟიმები გააჩნია თურქეთთან, ევროპის

თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებთან, ჩინეთთან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოებთან.

დისერტაციის მთავარი იდეები შემდეგ პუბლიკაციებში იქნა ასახული:

- 1) Beruashvili, N. Chitadze, N (2017). The Role of the World Bank in the World Politics on the Example of Providing Education on the Global Level. *Journal of Education in Black Sea Region*. Vol 3, No 1. Tbilisi, Georgia. Pp.116-128;
- 2) Beruashvili, N. Chitadze, N (2016). The role of WTO (World Trade Organization) in the promotion of the International Trade and formation of the new economic and business environment in the World. *Journal of business*. Vol 5, No 2. Tbilisi, Georgia. pp.17-25;
- 3) Beruashvili, N. Chitadze, N. (2017). IMF in Regulating of Crisis Phenomena in the World Economy and Promoting the Establishment of Friendly Business Environment at the Global Level. *Journal of Business*. Volume 6/Issue 1. Tbilisi, Georgia. pp. 21-27;
- 4) Beruashvili, N. Chitadze, N. (2017). Globalization as One of the Main Indicators of the New World Order and the Role of US in This Process. *Journal of Humanities*. Volume 7/issue 1. Tbilisi, Georgia. pp. 23-31.